შემწყნარებლობა აკაკი წერეთლის პოემებში

შიოშვილი ირმა
იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი
კახაშვილი ნინო
იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

https://doi.org/10.52340/idw.2021.524

XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა საკმაოდ მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. ეს რომანტიზმიდან რეალიზმზე, წუხილიდან საბრძოლო მოწოდებამდე გადასვლის პერიოდია, რომელსაც უწყვეტად გასდევს ეროვნული მოტივი. თუმცა, ამ პერიოდის ლიტერატურაში ბევრ სხვა თემაზეც გამახვილდა ყურადღება. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ეს რეფორმების, ბრძოლის და სიახლეების საუკუნეა და საზოგადოება ჩვენი შემოქმედებისგან მრავალმხრივ საინტერესო მარგალიტს იღებს.

ლიტერატურის ერთ-ერთი მთავარი მიზანი, რომელზეც ყველა ერთხმად თანხმდება, ადამიანის გაკეთილშობილება და მასში სწორი ზნეობრივი ფასეულობების ჩამოყალიბებაა. ლიტერატურა მაშინ არის ღირებული, როდესაც მასში სწორად არის გამიჯნული კარგი და ცუდი, კეთილი და ბოროტი, ამაღლებული და სულმდაბალი. ქართული ლიტერატურა თავისი პირველი ძეგლებიდან მოყოლებული ზნეობის სადარაჯოზე დგას. ამ კუთხით გამორჩეულია XIX საუკუნის ქართველ შემოქმედთა ნაწარმოებებიც. მათ მიერ შექმნილი არაერთი სრულყოფილი პერსონაჟი, საზოგადოებისათვის დღესაც განსაკუთრებულ მაგალითს წარმოადგენს. თერგდალეულებმა პიროვნება სულ სხვა სიმაღლეზე აიყვანეს, ხალხს მოძრაობისკენ, განათლებისკენ მოუწოდეს და საქვეყნო საქმის კეთებისკენ უბიძგეს. მათი შემოქმედება სხვადასხვა კუთხით არაერთხელ შეფასებულა, თუმცა საინტერესოა მათი მიდგომა შემწყნარებლობასთან დაკავშირებით. ამჯერად, ჩვენი ინტერესის სფეროს აკაკი წერელის პოემები წარმოადგენს. საინტერესოა, როგორ თავსდება ერთმანეთთან რეალისტი, მებრძოლი პოეტის მსფლმხედველობა შემწყნარებლურ მიდგომებთან.

ვიდრე კონკრეტულ საკითხს შევეხებით, აუცილებელია გამოვყოთ აკაკის შემოქმედებიდან რამდენიმე მაგალითი, რომელიც მოძრაობის, გამოცოცხლებისა და დაუმორჩილებლობისკენაა მიმართული:

„უნდა მტერი დავამარცხოთ,
ძალმომრევი, უსამართლო!
.....
ეს იქნება საბოლოო შეტაკება, მწარე ომი,
და თუ ვძლიეთ, ჩვენთან ერთად
გაიხარებს ყველა ტომი.“ (წერეთელი, 1940: 83)

ასევე, საყოველთაოდაა ცნობილი მისი განაცხადი:

„რა ვუყოთ, თეთრი მერიოს?!
სისხლით შევღებავ ჭაღარას
და სულ სხვა ხმაზე დავუკრავ
ამ ჩემს დაფსა და ნაღარას.“ (წერეთელი, 1940:53)

ან კიდევ: „მტერს ვაი დედა“ ვამღეროთ და ჩვენ ვთქვათ: დელა-დელაო!“ (წერეთელი, 1940:72)

ასეთი სულისკვეთების შემდეგ, საინტერესოა როდის არის აკაკი წერეთელი

შემწყნარებელი და შეუძლიათ თუ არა მიტევება და საკუთარ თავზე გამარჯვება მის პერსონაჟებს.

პირველ რიგში, ვნახოთ როგორ განმარტავენ მეცნიერები შემწყნარებლობას. თამაზ ბუაჩიძის აზრით: „შემწყნარებლობა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტოლერანტობა, არის ცალკეული ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის უნარი, მოითმინოს, დაუშვას, აღიაროს მისგან და მისი ჯგუფისგან განსხვავებული ადამიანისა და ჯგუფის არსებობა.“ (ირემაძე, თ. ცხადაძე, თ. და ხეოშვილი, გ. (რედ.). 2012, გვ. 103)

ეს ყოველივე აკაკისთვის სავსებით მისაღებია. დიდი ჰუმანიზმი და შემწყნარებლობა იკვეთება, როდესაც პოეტი გვეუბნება

„ძმაო, მკითხველო! ძმობას გაფიცებ,
კაცი რომ ნახო შენ დაცემული,
თუ რად დაეცა, მიზეზს ნუ ეძებ!
შენი ვალია, შეგტკივდეს გული!..“ (წერეთელი, 1940:12)

ან კიდევ, ლექსში „ძმობა, ერთობა და სიყვარული“ აკაკი წერეთელი აცხადებს:

„მთელ ქვეყანაზე და კაცთა შორის
იყოს წყეული... ის იყოს კრული,
ვისაც არ სწამდეს და არ უნდოდეს:
„ძმობა, ერთობა და სიყვარული.“(წერეთელი, 1940: 87)

აკაკი წერეთელისთვის განსაკუთრებით მიუღებელია ძალადობა და დაუნდობლობა ძმათა შორის. ასეთი ქმედებები მისთვის ტრაგედიის ტოლფასია და მთელი ძალით ცდილობს ხმა მიაწვდინოს შურისგან დაბრმავებულ ადამიანებს:

„ღვთის მადლსა, რა დროს ეს არის:
ძმა ძმაზე ლესავს ხანჯალსა?!
იღუპებიან ორივე,
არც ღონეს ზოგვენ, არც ძალსა.
.....
გააგდეთ ხმალი... ხანჯალი!
ხელი ხელს მიეცთ ძმურადა!
ნუ შესცქერიხართ ერთმანეთს
მტრულად და ბატონ-ყმურადა!“ (წერეთელი, 1940:108)

ზემოთ მოხმობილი მაგალითებით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ასეთი შემწყნარებლური მიდგომა აკაკის მხოლოდ მოყვასისადმი აქვს. იქნებ, მტრისა და მომხვდურის მიმართ არის ის დაუნდობელი და არფერს დათმობს, როდესაც საკითხი სამშობლოს და საერთო იდეას ეხება?! ასეთი შეხედულება საერთოდ შეიცვალა, როდესაც საკითხს უფრო ჩავუღრმავდით. სწორედ მტერთან მიმართებაში აღმოვაჩინეთ ის ყველაზე შემწყნარებელი. მისი პერსონაჟები ფიცხელ ომშიც კი პოულობენ ძალებს, შეინარჩუნონ ვაჟკაცობა.

პოემა „თორნიკე ერისთავში“ ბრძოლის არაერთი სურათია წარმოდგენილი. მათში პერსონაჟების შეუპოვრობისა და საბრძოლო მამაცობის უამრავ მაგალითს ვხვდებით, თუმცა თითქმის შეუმჩნევლად გვრჩება ქართველი სარდლის, ორბელიძის საქციელი. ვაჟკაცი მებრძოლი როდესაც სპარსელთა ჯარის სარდალს, აფრაკინეს, პირისპირ შეებრძოლა, ორბელიძის მოქნეულმა მახვილმა მას ხმალი გადაუტეხა. ამ დროს აკაკი დაგვიწერს:

„გმირთა წესია ლმობიერება:
წყრომა გულისა ქართველს დაუცხრა,
ხმალი ჩააგო ისევ ქარქაშში,
ჩამოეცალა და ასე უთხრა:
_ნუ გეშინია! ხმლიანი უხმლოს
რომ შეგეჭიდო, არ მეკადრება,
მხოლოდ თანსწორი იარაღითა_
შენი დაჩაგვრა მე მენატრება“ (წერეთელი, 1940: 153)

თამაზ ბუაჩიძესთან ვკითხულობთ: „რადგან შემწყნარებლობა ზნეობრივი ფენომენია, ის

ზნეობის პრინციპებს უნდა ემორჩილებოდეს. პირველ ყოვლისა კი თავისუფალი ნების პრინციპს. ზნეობა ემყარება იმ პრინციპს, რომ ადამიანს თვითონ შეუძლია მიიღოს გარკვეული გადაწყვეტილება. მან თვითონ უნდა გადაწყვიტოს, იყოს შემწყნარებელი, თუ არ იყოს შემწყნარებელი და ბუნების მიერ გაკვალულ გზას დაადგეს. იყოს შემწყნარებელი, თუ არ იყოს შემწყნარებელი, ამის გადაწყვეტა გონის საქმეა. (ირემაძე თ. ცხადაძე თ. და ხეოშვილი გ. (რედ.). 2012: 105)

ადამიანში ხომ უფრო მეტად ბუნებრივი, ველური მძლავრობს და გონება იბოჭება. თავისუფლება და ზნეობრიობა კი ბუნებისგან გათიშვას ნიშნავს. ადამიანს თუ სურს, რომ იყოს ადამიანი, ბუნებრივს უნდა გაეთიშოს და დაძლიოს ეგოისტური იძულების ძახილი.

აკაკი წერეთლის პერსონაჟები, ზუსტად ასე იქცევიან. სწორედ კონკრეტულ მომენტში იღებენ გადაწყვეტილებას და თანაც ისეთს, რომ ზნეობრივ ადამიანებად რჩებიან. სარდლებს განსაკუთრებული სიბრალული უჩნდებათ დამარცხებული ადამიანების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლაში ასეთ საქციელს მათ არავინ ავალდებულებთ. გმირები თავად იღებენ ამ გადაწყვეტილებას და მართლები არიან საკუთარ სინდისთან. ეს მათი თავისუფალი ნების გამოხატულებაა.

ამავე პოემაში, როდესაც ბრძოლის ბედი გადაწყდა და სკლიაროსის ჯარი სასტიკად დამარცხდა, აკაკი გადმოგვცემს როგორ იქცევა თორნიკე ერისთავი ზურგნაქცევი მტრის მიმართ. ამ ეპიზოდში ჯარისადმი თორნიკეს მიმართვა შემწყნარებლობის გამორჩეული მაგალითია:

„გზას ნუ შეუკრავთ გაჭირვებულებს,
დეე გაიქცნენ, მიეცით ნება!
და გზა გაუხსნეს დასავლეთისკენ,
გაუკეთეს რა განზრახვით კარი;
და მხოლოდ სამის კუთხიდან მკაცრად
მტერს აწვებოდა ქართველთა ჯარი.“ (წერეთელი, 1940:157)

როგორც ცნობილია, თერგდალეულები ხშირად მიმართავდნენ ისტორიულ წარსულს და ჩვენი წინაპრების საგმირო საქმეების გადმოცემით, თანამედროვეთათვის სრულყოფილი ადამიანების სახეებს ქმნიდნენ. თუმცა, აკაკისთვის მნიშვნელობა არ აქვს მტერსა და მოყვარეს, თუ ის ზნეობრივად ამაღლებული პიროვნებაა. პოეტი ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთი პირველი ტოვებს ვაჟკაცობის დამფასებელი მტრის სახეს, რომელიც ასეთი საქციელით თვითონაც უმალ ხდება გმირი, ზნემაღალი ქმედებიდან გამომდინარე.

კერძოდ, პოემაში „ნათელა“ აკაკი წერეთელი აცოცხლებს საქართველოს ისტორიის იმ გამორჩეულ შემთხვევას, როდესაც სასტიკი მომხვდური წარმოგვიდგება შემწყნარებლად და კონკრეტული შემთხვევის ანალიზის შემდეგ, საოცრად ჰუმანურ მოქმედებას ჩაიდენს. ნაწარმოებში მონღოლი ნოინი, ცოტნე დადიანის საქციელით მოხიბლული, იტყვის:

„აფერუმ, ქვეყნის ერთგულო!
კაცი ხარ, კაცურადა სჯი!
მომწონს ეგ სიტყვა-პასუხი
არ გირისხდები, არა გსჯი!
.....
გაძლევთ სრულ თავისუფლებას,
როგორც შენ, ისე ტყვეებსა!..
და თქვენ მხარესაც ავაცდენ
სამგლოვიარო დღეებსა!“ (წერეთელი, 1940: 231)

ამ ეპოზოდებიდან ცხადია რამდენად მოსწონს აკაკი წერეთელს მტრის და დაჩაგრულის შეწყალება. მისი პერსონაჟები მხოლოდ გმირი მებრძოლები კი არ არიან, მათში პოეტი ამაღლებულ, საკმაოდ სათუთ ხასიათსაც დებს და ამით ხდებიან ისინი მისაბაძი ვაჟკაცები.

აკაკი წერეთლის შემწყნარებლობაზე საუბრისას კი შეუძლებელია არ გავიხსენოთ პოემა „გამზრდელი“, რომელიც არა მხოლოდ მისი შემოქმედების, არამედ, მთელი ქართული ლიტერატურის გამორჩეული ნაწარმოებია. განდეგილს XIX საუკუნის ქართული რეალიზმის

ერთ-ერთი დამაგვირგვინებელი ქმნილება უწოდა გურამ ასათიანმაც. ბათუს საქციელი მისთვის „ქართული სულის“ „რაინდული დიდსულოვნების ნამდვილი აპოთეოზია“.

„წადი ჩემგან შენდობილი,
მაგრამ შორს კი... და მშვიდობით!
დღეიდან ჩვენ წმინდა გულით
ერთმანეთს ვერ მივენდობით!“ (წერეთელი, ა. (1940). გვ. 108)

შემწყნარებლობის ეს თითქმის წარმოუდგენელი ეპიზოდი ყველას აოცებს. აკაკი ბაქრაძისათვის ამის მიზეზი სუფთა სიყვარული და სუფთა სულია: **„ლამპარივით წმინდა სიყ-ვარულმა** და სიხარბისაგან თავისუფლებამ დაბადა ბათუს დიდბუნებოვანი საქციელი, მისი სულდიდობა“ (ბაქრაძე, 2013: 257). გურამ ასათიანი კი ასე ხსნის მის საქციელს: „ახლობელი ადამიანის ტანჯვის ხილვით და ამ ტანჯვისადმი თანალმობით ის თითქოს არისტოტელესეუ-ლი კათარზისის მსგავს ემოციურ მდგომარეობას ეზიარება“ (ასათიანი, 1982: 373).

შეიძლება მაინც გაჩნდეს კითხვა, მაშ როგორ ხდება, რომ აკაკი, ასეთი შემწყნარებელი, მთელ რიგ შემთხვევებში ხანჯლის წითლად შეღებასაც მისაღებად თვლის. როგორ თავსდება ეს ორი მიდგომა ერთმანეთთან?

ამ შემთხვევაში პასუხი კვლავ თ. ბუაჩიძის ნაშრომში ვიპოვეთ: „შემწყნარებლობა არ ნიშნავს უპრინციპობას. პირიქით, შემწყნარებელი არავითარ შემთხვევაში არ ამბობს უარს თავის მრწამსზე ან მსოფლმხედველობაზე, საკუთარ თვალსაზრისა თუ რწმენაზე...“ (ირემაძე თ. at al. (რედ.). 2012: 106). ამიტომაც, თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აკაკი წერეთელი ერთ-ერთი მებრძოლი სულისკვეთების შემოქმედია, მიუხედავად იმისა, რომ მისი ნაწარმოებები შეუპოვრობის და სამშობლოსადმი თავგანწირვის გამორჩეულ მაგალითებს იძლევა.

აკაკი წერეთლის შემოქმედების განხილვა ამ კუთხით, საკმაოდ ვრცლად შეიძლება, თუმცა რამდენიმე პოემის მიმოხილვითაც ნათელი გახდა, რომ პოეტი შემწყნარებლობის უდიდეს მაგალითებს გვიჩვენებს და საზოგადოებას ჰუმანიზმისა და ზნეობის სანიმუშო მაგალითებს სთავზობს.

ლიტერატურა:

1. ბაქრაძე ა. (2013): სკოლას. ინტელექტი. თბილისი.
2. ასათიანი გ. (1982): სათავეებთან. საბჭოთა საქართველო. თბილისი.
3. ირემაძე თ. ცხადაძე თ. და ხეოშვილი, გ. (რედ.). (2012): შემცნება და ზნეობა ფილოსოფიური წერლები. ნეკერი. თბილისი.
4. მაშაშვილი ა. დადიანი შ. და ქიქოძე გ. (რედ.). (1940): აკაკი წერეთელი თხზულებათა კრებული. ფედერაცია. თბილისი.

Tolerance in Akaki Tsereteli’s Poems

Shioshvili Irma
Iakob Gogebashvili State Universiti, Telavi
Kakhashvili Nino
Iakob Gogebashvili State Universiti, Telavi

Abstract

XIX century Georgian literature is quite versatile and diverse. It is the transitional period from Romanticism to Realism that is continuously accompanied by the national motive. Though, many other topics were also emphasized in literature of the mentioned period.

Georgian literature beginning with its first works guards the morality. Works of XIX century Georgian creators are distinguished in that regard as well. Different ideal characters created by them are the special examples for society even today. This time the given work deals with Akaki Tsereteli’s poems. It is worth of interest as how the ideology of realist, warrior poet is compatible

with the tolerant approaches, when Akaki Tsereteli is tolerant and if their characters can forgive and gain a victory over themselves.

Tolerance as the moral phenomenon and its philosophical definition are also emphasized in the given work in an interesting way. All of the abovementioned matters are quite acceptable for Akaki. Great humanism and tolerance are revealed in poet's words.

After analyzing the poems given in the work it becomes clear that the poet is tolerant not only with neighbors, but also he turns out to be the most gracious one with enemies. His characters find ways for showing courage even in the war. His characters are not only heroic warriors, the poet also gives them quite a tender temper and that is the reason for becoming worthy brave man.

His characters are separated from the natural things, defeat selfish forces and make such decisions in a specific moment that helps them remain humans with morality, they are right with their own conscience and it is the expression of their free will.

The given work allows to conclude that Akaki Tsereteli's poems reveal the greatest examples of tolerance and offer society the samples of humanism and morality.

საკვანძო სიტყვები: ტოლერანტობა, აკაკი წერეთლის პოემები, XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა

Key words: Tolerance, Akaki Tsereteli's Poems, XIX century Georgian literature.